

## შეთანხმება

### საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ

საქართველო და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა,

ისწრაფვიან რა დადონ შეთანხმება შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით და ადასტურებენ რა საგადასახადო წინააღმდეგობების აღკვეთის გზით ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და განმკტიცების სურვილს,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

#### **მუხლი 1. პირები, რომელთა მიმართ გამოიყენება შეთანხმება**

ეს შეთანხმება გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ ერთი ან ორივე ხელშემკვერელი სახელმწიფოს რეზიდენტებს.

#### **მუხლი 2. გადასახადები, რომლებზეც ვრცელდება შეთანხმება**

1. ეს შეთანხმება გამოიყენება შემოსავლებსა და კაპიტალზე გადასახადების მიმართ, რომელთა დაკისრება ხდება ხელშემკვერელი სახელმწიფოს ან მისი ერთ-ერთი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფის მიერ, მათი გადახდის წესის მიუხედავად.

2. შემოსავლებსა და კაპიტალზე გადასახადებად ითვლება ყველა ის გადასახადი, რომლითაც იბეგრება შემოსავლის მთლიანი თანხა, მთლიანი კაპიტალი ან მათი ცალკეული ელემენტი, უძრავი ან მოძრავი ქონების გასხვისებით მიღებულ შემოსავლებზე გადასახადების, საწარმოს მიერ გადახდილი ხელფასის ან გასამრჯელოს მთლიან თანხებზე გადასახადების, აგრეთვე კაპიტალის ღირებულების მატებიდან მიღებულ შემოსავლებზე გადასახადების ჩათვლით.

3. ამჟამად მოქმედ გადასახადებს, რომლებზეც ვრცელდება ეს შეთანხმება, კერძოდ; მიეკუთვნებიან:

a) გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში:

საშემოსავლო გადასახადი;

კორპორაციული გადასახადი;

სარეწაო გადასახადი;

ქონების გადასახადი და საგადასახადო დანამატები მათზე (შემდგომში „გერმანიის გადასახადები“);

b) საქართველოში:

საწარმოთა მოგების გადასახადი;

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი;

იურიდიულ პირთა ქონების გადასახადი;

ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (შემდგომში „საქართველოს გადასახადები“).

4. ეს შეთანხმება გამოიყენება აგრეთვე ყველა მსგავსი ან არსებითად ანალოგიური გადასახადების მიმართ, რომლებიც ამ შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ იქნება დაწესებული არსებული გადასახადების დამატებით ან მათ ნაცვლად. ხელშემკვერელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთს აცნობებენ მათ საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი არსებითი ცვლილებების შესახებ.

#### **მუხლი 3. ზოგადი განსაზღვრებები**

1. ამ შეთანხმების მიზნებისათვის, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს:

ა) ტერმინი „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა“ ნიშნავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიას, ასევე მის ტერიტორიულ ზღვასთან მიმდებარე ზღვის ფსკერისა და ზღვის წიაღისეულის ტერიტორიას, ასევე მათ ზევით მდებარე წყლის მასას, რომლის მიმართ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას საერთაშორისო სამართლის და ეროვნული სამართლებრივი აქტების შესაბამისად შეუძლია განახორციელოს სუვერენული უფლებები და იურისდიქცია ბუნებრივი რესურსების ბიოლოგიური და არაბიოლოგიური სახეობების კვლევის, გადამუშავების, შენარჩუნებისა და მათი მართვის მიზნით;

ბ) ტერმინი „საქართველო“ ნიშნავს ტერიტორიას მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ სახელმწიფო საზღვრებში, მათ შორის, სახმელეთო ტერიტორიას, შიდა და ტერიტორიულ წყლებს; საჰაერო სივრცეს მათ ზემოთ, რომლებზეც ვრცელდება საქართველოს სუვერენიტეტი, ასევე მის ტერიტორიულ წყლებთან მიმდებარე განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონასა და კონტინენტურ შელფს, რომელთა მიმართ საქართველოს შეუძლია განახორციელოს თავისი სუვერენული უფლებები საერთაშორისო სამართლის შესაბამისად;

ც) ტერმინი „ხელშემკვრელი სახელმწიფო“ და „მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფო“ შესაბამისად ნიშნავს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას და საქართველოს;

დ) ტერმინი „პირი“ ნიშნავს ფიზიკურ პირს, კომპანიას ან პირთა ნებისმიერ სხვა გაერთიანებას;

ე) ტერმინი „კომპანია“ ნიშნავს ნებისმიერ კორპორაციულ წარმონაქმნს ან ნებისმიერ სხვა გაერთიანებას, რომელიც გადასახადით დაბეგვრის მიზნით განიხილება, როგორც კორპორაციული წარმონაქმნი;

ფ) ტერმინი „ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო“ და „მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო“ შესაბამისად ნიშნავს საწარმოს, რომლის მართვა ხორციელდება ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ ან საწარმოს, რომლის მართვა ხორციელდება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ;

გ) ტერმინი „საერთაშორისო გადაზიდვა“ ნიშნავს ნებისმიერ გადაზიდვას საზღვაო გემებითა და საჰაერო ხომალდებით, რომელთა ექსპლუატაცია ხდება საწარმოს მიერ, რომლის ფაქტობრივი მართვის ადგილი მდებარეობს ხელშემკვრელ სახელმწიფოში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საზღვაო გემებისა და საჰაერო ხომალდების ექსპლუატაცია ხდება მხოლოდ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში განლაგებულ პუნქტებს შორის;

ჰ) ტერმინი „ნაციონალური პირი“ ნიშნავს:

i. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემთხვევაში:

ნებისმიერ გერმანელს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის გაგებით, ასევე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ ნებისმიერ იურიდიულ პირს, უბრალო ამხანაგობას და პირთა სხვა გაერთიანებას;

ii. საქართველოს შემთხვევაში:

ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელსაც აქვს საქართველოს მოქალაქეობა; ასევე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ ნებისმიერ იურიდიულ პირს და პირთა სხვა გაერთიანებას;

i) ტერმინი „კომპეტენტური ორგანო“ ნიშნავს:

i. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემთხვევაში – ფინანსთა ფედერალურ სამინისტროს ან ორგანოს; რომელსაც მან გადასცა თავისი უფლებამოსილება.

ii. საქართველოს შემთხვევაში – ფინანსთა სამინისტროს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

2. თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ამ შეთანხმების გამოყენების დროს ნებისმიერ ტერმინს, რომელიც არ არის მასში განსაზღვრული, ექნება ის მნიშვნელობა, რაც მას ენიჭება ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით იმ გადასახადების მიმართ, რომლებზეც ვრცელდება ეს შეთანხმება. ხელშემკვრელი სახელმწიფოს საგადასახადო

კანონმდებლობაში არსებული ტერმინების განსაზღვრებებს უპირატესობა ენიჭებათ იმ განსაზღვრებებთან მიმართებაში, რომლებიც მათ გააჩნიათ ამ სახელმწიფოს სხვა კანონებით.

#### **მუხლი 4. რეზიდენტი**

1. ამ შეთანხმების მიზნებისათვის, ტერმინი „ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი“ ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელიც ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება დაბეგვრას მისი საცხოვრებელი ადგილის, ფაქტობრივად ყოფნის ადგილის, ფაქტობრივი მართვის ადგილის მდებარეობის ან სხვა ანალოგიური კრიტერიუმის საფუძველზე, ამ სახელმწიფოსა და მისი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფების ჩათვლით. ამასთან, ეს ტერმინი არ ვრცელდება პირზე, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ამ სახელმწიფოში, მხოლოდ ამ სახელმწიფოში არსებული წყაროებიდან მიღებულ შემოსავლებთან ან ამ სახელმწიფოში განთავსებულ კაპიტალთან დაკავშირებით.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა შესაბამისად, ფიზიკური პირი წარმოადგენს ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს, მისი სტატუსი განისაზღვრება შემდეგნაირად:

a) პირი ითვლება იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, რომელშიც მას აქვს მუდმივი საცხოვრებელი; თუ მას მუდმივი საცხოვრებელი აქვს ორივე სახელმწიფოში, ის ითვლება იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც მას გააჩნია უფრო მჭიდრო პირადი და ეკონომიკური კავშირები (სასიცოცხლო ინტერესების ცენტრი);

b) თუ შეუძლებელია იმ სახელმწიფოს დადგენა, რომელშიც პირს აქვს სასიცოცხლო ინტერესების ცენტრი, ან თუ პირს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნია არცერთ ამ სახელმწიფოში, ის ჩაითვლება მხოლოდ იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც იგი ჩვეულებრივ ცხოვრობს.

c) თუ პირი ჩვეულებრივ ცხოვრობს ორივე სახელმწიფოში ან ის ჩვეულებრივ არ ცხოვრობს არცერთ მათგანში, ის ჩაითვლება მხოლოდ იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, რომლის ნაციონალურ პირსაც იგი წარმოადგენს;

d) თუ პირი არის ორივე სახელმწიფოს მოქალაქე ან არ არის არცერთი მათგანის მოქალაქე, მაშინ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები საკითხს გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით. ასეთი შეთანხმების მიღწევამდე პირს არა აქვს უფლება მოითხოვოს ნებისმიერი ის უპირატესობა, რომლებსაც ითვალისწინებს ეს შეთანხმება.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა შესაბამისად, პირი, რომელიც არ არის ფიზიკური პირი, წარმოადგენს ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს, მაშინ იგი ითვლება იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტად, რომელშიც განთავსებულია მისი ფაქტობრივი მართვის ადგილი.

#### **მუხლი 5. მუდმივი დაწესებულება**

1. ამ შეთანხმების მიზნებისათვის, ტერმინი „მუდმივი დაწესებულება“ ნიშნავს საქმიანობის მუდმივ ადგილს, რომლის მეშვეობითაც საწარმოს საქმიანობა ხორციელდება მთლიანად ან ნაწილობრივ.

2. ტერმინი „მუდმივი დაწესებულება“ კერძოდ მოიცავს:

a) მართვის ადგილს;

b) ფილიალს;

c) ოფისს;

d) ფაბრიკას;

e) სახელოსნოს;

f) მაღაროს, ნავთობის ან გაზის ჭაბურღილს, კარიერს ან ბუნებრივი რესურსების დამუშავების ნებისმიერ სხვა ადგილს.

3. სამშენებლო მოედანი, სამონტაჟო ან საამწყობო ობიექტი მუდმივ დაწესებულებად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არსებობს 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.

4. ამ მუხლის წინა დებულებათა მიუხედავად; მუდმივ დაწესებულებად არ ითვლებიან:

a) ობიექტები, რომლებიც გამოიყენება საწარმოს კუთვნილი საქონლის ან ნაკეთობების მხოლოდ მარაგად შენახვის, დემონსტრირების ან მიწოდების მიზნით;

b) საწარმოს კუთვნილი საქონლის ან ნაკეთობების მარაგები, რომლებიც საწარმოს გააჩნია მხოლოდ შენახვის, დემონსტრირების ან მიწოდების მიზნით;

c) საწარმოს კუთვნილი საქონლის ან ნაკეთობების მარაგები, რომლებიც საწარმოს გააჩნია მხოლოდ სხვა საწარმოების მიერ მათი გადამუშავების მიზნით;

d) საქმიანობის მუდმივი ადგილი, რომელიც საწარმოს გააჩნია მხოლოდ ნაკეთობების და საქონლის შესყიდვის ან მისთვის ინფორმაციის შეგროვების მიზნით;

e) საქმიანობის მუდმივი ადგილი, რომელიც საწარმოს გააჩნია მხოლოდ მოსამზადებელი ან დამხმარე ხასიათის ნებისმიერი სხვა სახის საქმიანობის განხორციელების მიზნით;

f) საქმიანობის მუდმივი ადგილი, რომელიც საწარმოს გააჩნია მხოლოდ ამ პუნქტის „ა“ „ე“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ საქმიანობათა სახეობების განხორციელების მიზნით, იმ პირობით, რომ საქმიანობის ამ მუდმივი ადგილიდან წარმოებულ საერთო საქმიანობას აქვს მოსამზადებელი ან დამხმარე ხასიათი.

5. თუ პირი, ამ მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული დამოუკიდებელი აგენტის გარდა, საწარმოსათვის ახორციელებს საქმიანობას, აქვს და ჩვეულებრივ იყენებს ხელშემკვრელ სახელმწიფოში ამ საწარმოს სახელით კონტრაქტების გაფორმების უფლებამოსილებას, მაშინ ეს საწარმო, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დებულებების მიუხედავად, განიხილება ამ სახელმწიფოში მუდმივი დაწესებულების მქონედ ამ პირის მიერ საწარმოს ინტრესებიდან გამომდინარე განხორციელებულ ნებისმიერ საქმიანობასთან მიმართებაში, თუ ეს საქმიანობა არ შემოიფარგლება ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული სახეობებით, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობის მუდმივი ადგილის საშუალებით განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული პუნქტის შესაბამისად ამ ადგილს არ გადააქცევს მუდმივ დაწესებულებად.

6. საწარმო არ განიხილება მუდმივი დაწესებულების მქონედ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თუ ის თავის საქმიანობას ამ სახელმწიფოში ახორციელებს ბროკერის, კომისიონერის ან დამოუკიდებელი სტატუსის მქონე ნებისმიერი სხვა აგენტის მეშვეობით, იმ პირობით, თუ ეს პირები მოქმედებენ თავიანთი ჩვეული პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.

7. ის ფაქტი, რომ ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანია აკონტროლებს ან კონტროლდება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანიის მიერ, ან რომელიც ახორციელებს საქმიანობას ამ მეორე სახელმწიფოში (მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან სხვა სახით), თავისთავად არ გადააქცევს ერთ-ერთ ამ კომპანიას მეორის მუდმივ დაწესებულებად.

## **მუხლი 6. შემოსავალი უძრავი ქონებიდან**

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში მდებარე უძრავი ქონებიდან მიღებული შემოსავალი (სოფლისა და სატყეო მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის ჩათვლით), შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

2. ტერმინს „უძრავი ქონება“ აქვს ის მნიშვნელობა, რომელიც მას გააჩნია იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომელშიც მდებარეობს განსახილველი ქონება, ეს ტერმინი, ნებისმიერ შემთხვევაში მოიცავს იმ ქონებას, რომელსაც უძრავი ქონების მიმართ გააჩნია დამხმარე ხასიათი, პირუტყვის, სოფლისა და სატყეო მეურნეობაში გამოყენებულ მოწყობილობას, უფლებებს, რომლებსაც ეხება მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დებულებები, უძრავი ქონების გამოყენების უფლებებს და უფლებებს ცვალებად ან ფიქსირებულ გადასახადებზე, რომლებიც წარმოადგენენ კომპენსაციას მინერალური რესურსების, საბადოების და სხვა ბუნებრივი

რესურსების დამუშავებისათვის ან დამუშავების უფლებისათვის. საზღვაო გემები და საჰაერო ხომალდები უძრავ ქონებად არ განიხილება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები ეხება აგრეთვე უძრავი ქონების პირდაპირი გამოყენების, გაქირავების ან ნებისმიერი სხვა ფორმით გამოყენების შედეგად მიღებულ შემოსავლებს.

4. ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების დებულებები ეხება აგრეთვე საწარმოს უძრავი ქონებიდან და დამოუკიდებელი პირადი მომსახურების გაწევის დროს გამოყენებული უძრავი ქონებიდან მიღებულ შემოსავლებს.

### **მუხლი 7. მოგება ეკონომიკური საქმიანობიდან**

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მოგება შეიძლება დაიბეგროს მხოლოდ ამ სახელმწიფოში, თუ ეს საწარმო თავის საქმიანობას მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში არ ახორციელებს იქ განლაგებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით. თუ საწარმო ამგვარად ახორციელებს საქმიანობას, მაშინ მისი მოგება შეიძლება დაიბეგროს მეორე სახელმწიფოში, მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მიეკუთვნება ამ მუდმივ დაწესებულებას.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში ახორციელებს საქმიანობას იქ განლაგებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, მაშინ, ამ მუხლის მე-3 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით, თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოში ამ მუდმივ დაწესებულებას მიეკუთვნება მოგება, რომელიც მას შეიძლებოდა მიეღო, როგორც იმავე ან ანალოგიური საქმიანობით დაკავებულ, იმავე ან ანალოგიურ პირობებში მყოფ ცალკე გამოყოფილ, დამოუკიდებელ საწარმოს, რომელიც მოქმედებს იმ საწარმოსგან სრულიად დამოუკიდებლად, რომლის მუდმივ დაწესებულებასაც იგი წარმოადგენს.

3. მუდმივი დაწესებულების მოგების განსაზღვრისას დასაშვებია იმ ხარჯების გამოქვითვა, რომლებიც გაწეულია მუდმივი დაწესებულების საქმიანობის მიზნებისათვის, მმართველობითი და საერთო ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით, იმის მიუხედავად, ეს ხარჯები გაწეულია სახელმწიფოში, სადაც იმყოფება მუდმივი დაწესებულება, თუ მის ფარგლებს გარეთ.

4. თუ ხელშემკვრელ სახელმწიფოში მუდმივი დაწესებულების მოგების განსაზღვრა მიღებულია საწარმოს მთლიანი მოგების მის ცალკეულ ნაწილებზე პროპორციული განაწილების საფუძველზე, მაშინ ამ მუხლის მე-2 პუნქტის დებულებები არ გამორიცხავს ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ დასაბეგრი მოგების განსაზღვრას განაწილების მიღებული მეთოდის შესაბამისად, ამასთან, მოგების განაწილების არჩეული მეთოდი თავისი შედეგით უნდა შეესაბამებოდეს ამ მუხლის პრინციპებს.

5. მუდმივ დაწესებულებას არავითარი მოგება არ მიეკუთვნება ამ მუდმივი დაწესებულების მიერ საწარმოსათვის მხოლოდ საქონლის ან ნაკეთობების შექმნის საფუძველზე.

6. ამ მუხლის წინა პუნქტების დებულებების გამოყენებისას, მუდმივი დაწესებულების კუთვნილი მოგება ყოველწლიურად განსაზღვრული უნდა იქნეს ერთი და იმავე მეთოდით, თუ არ არსებობს მის შესაცვლელად რაიმე საკმარისი მიზეზი.

7. თუ მოგება შეიცავს შემოსავლის ისეთ სახეობებს, რომლებიც განხილულია ამ შეთანხმების სხვა მუხლებში, მაშინ მათზე ამ მუხლის დებულებები გავლენას ვერ იქონიებს.

### **მუხლი 8. საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი**

1. საზღვაო გემებისა და საჰაერო ხომალდების სარეთაშორისო გადაზიდვებში ექსპლოატაციიდან მიღებული მოგება იბეგრება მხოლოდ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც მდებარეობს საწარმოს ფაქტობრივი მართვის ადგილი.

2. თუ საზღვაო საწარმოს კომპანიის საწარმოს ფაქტობრივი მართვის ადგილი განთავსებულია გემბანზე, იგი ჩაითვლება იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში არსებულად, სადაც მდებარეობს ამ გემის მიწერის ნავსადგური. ამგვარი ნავსადგურის არარსებობის შემთხვევაში, ჩაითვლება იმ

ხელშემკვრელ სახელმწიფოში არსებულად, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს პირი, რომელიც გემის ექსპლოატაციას ახორციელებს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები აგრეთვე ვრცელდება იმ მოგებების მიმართ, რომლებიც მიიღება კულში, ერთობლივ საწარმოში ან ტრანსპორტის საერთაშორისო სააგენტოს მუშაობაში მონაწილეობიდან.

### **მუხლი 9. ასოცირებული საწარმოები**

1. იმ შემთხვევაში, როდესაც:

a) ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მარვაში, კონტროლში ან კაპიტალში, ან

b) ერთი და იგივე პირები პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობენ ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოსა და მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს მართვაში, კონტროლში ან კაპიტალში,

და აღნიშნულ შემთხვევებში ორივე საწარმო მათ კომერციულ ან ფინანსურ ურთიერთობებში ვალდებულნი არიან დაიცვან შეთანხმებული ან მათზე დაკისრებული პირობები, განსხვავებული იმათგან, რომლებსაც ადგილი ექნებოდა ორ დამოუკიდებელ საწარმოს შორის ურთიერთობაში, მაშინ მოგება, რომელიც შეიძლება მიეღოს ამ საწარმოებიდან რომელიმეს ასეთი პირობების გარეშე, მაგრამ ამ პირობების გამო ვერ იქნა მიღებული, შეიძლება მიეწეროს ამ საწარმოს მოგებას და შესაბამისად დაიბეგროს.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში ამ სახელმწიფოს საწარმოს მოგებას მიეკუთვნება და შესაბამისად გადასახადით იბეგრება ის მოგება, რომელთა მიმართებაში მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო დაექვემდებარა დაბეგვრას ამ მეორე სახელმწიფოში, და ასეთი სახით მიკუთვნებული მოგება წარმოადგენს მოგებას, რომელიც შეიძლება მიეღოს პირველად ხსენებული სახელმწიფოს საწარმოს, თუ ამ ორ საწარმოს შორის იქნებოდა იგივე ურთიერთობა, როგორც დამოუკიდებელ საწარმოებს შორის, მაშინ ეს მეორე სახელმწიფო მოახდენს მის მიერ ამ მოგებაზე დარიცხული გადასახადის შესაბამის კორექტირებას. ასეთი კორექტირების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ შეთანხმების სხვა დებულებები. აუცილებლობის შემთხვევაში, ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები ერთმანეთთან გამართავენ კონსულტაციებს.

### **მუხლი 10. დივიდენდები**

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანიის მიერ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი დივიდენდები შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

2. აღნიშნული დივიდენდები შეიძლება აგრეთვე დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს დივიდენდების გადამხდელი კომპანია, მისი კანონმდებლობის შესაბამისად ამასთან, თუ დივიდენდების ფაქტობრივი მფლობელი წარმოადგენს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს, მაშინ გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს;

a) დივიდენდების საერთო თანხის 0 პროცენტს, თუ ფაქტობრივ მფლობელს წარმოადგენს კომპანია (უბრალო ამხანაგობის გარდა), რომელიც უშუალოდ ფლობს დივიდენდების გადამხდელი კომპანიის კაპიტალის არანაკლებ 50 პროცენტს და ინვესტირებული აქვს დივიდენდების გადამხდელი კომპანიის კაპიტალში 3 000 000 (სამი მილიონი) ევროზე ან მის ეკვივალენტურ თანხაზე მეტი;

b) დივიდენდების საერთო თანხის 5 პროცენტს, თუ ფაქტობრივ მფლობელს წარმოადგენს კომპანია (უბრალო ამხანაგობის გარდა), რომელიც უშუალოდ ფლობს დივიდენდების გადამხდელი კომპანიის კაპიტალის არანაკლებ 10 პროცენტს და ინვესტირებული აქვს დივიდენდების

გადამხდელი კომპანიის კაპიტალში 100 000 (ასი ათასი) ევროზე ან მის ეკვივალენტურ თანხაზე მეტი;

ც) ყველა სხვა შემთხვევაში, დივიდენდების საერთო თანხის 10 პროცენტს.

ამ პუნქტის დებულებები არ შეეხება კომპანიის დაბეგვრას იმ მოგებასთან მიმართებაში, რომლიდანაც გაიცემა დივიდენდები.

3. ამ მუხლში გამოყენებისას, ტერმინი „დივიდენდი“ ნიშნავს შემოსავალს აქციებიდან, მოგებაში მონაწილეობის უფლებებიდან ან სერტიფიკატებიდან, სამთოგადამამუშავებელი მრეწველობის აქციებიდან, სადამფუძნებლო პაეებიდან ან სხვა შემოსავლებიდან, რომლებიც იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს მოგების გამანაწილებელი კომპანია, საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე, უთანაბრდება აქციებიდან მიღებულ შემოსავლებს, ასევე, საპაიო საინვესტიციო ფონდის სერტიფიკატებით გასანაწილებელ მოგებას.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დებულებები არ გამოიყენება, თუ დივიდენდების მფლობელია ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას იმ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს დივიდენდების გადამხდელი კომპანია, იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, ან ეწევა ამ მეორე სახელმწიფოში დამოუკიდებელ პირად მომსახურებას იქ არსებული ფიქსირებული ბაზის მეშვეობით და წილობრივი მონაწილეობა, რომლის საფუძველზე ხდება დივიდენდების გადახდა, რეალურად უკავშირდება ამგვარ მუდმივ დაწესებულებას ან ფიქსირებულ ბაზას. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ამ შეთანხმების მე-7 ან მე-14 მუხლის დებულებები.

5. იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანია მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში იღებს შემოსავალს ან მოგებას, ამ მეორე სახელმწიფოს არ შეუძლია დაბეგროს ამ კომპანიის მიერ გადახდილი დივიდენდები, იმ შემთხვევის გარდა, როცა ასეთი დივიდენდების გადახდა ხდება ამ მეორე სახელმწიფოს რეზიდენტისათვის, ან როდესაც ქონება, რომლის საფუძველზე ხდება დივიდენდების გადახდა, რეალურად უკავშირდება ამ მეორე სახელმწიფოში არსებულ მუდმივ დაწესებულებას ან ფიქსირებულ ბაზას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გადახდილი დივიდენდები ან გაუნაწილებელი მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ შედგება ამ მეორე სახელმწიფოში წარმოშობილი მოგებიდან ან შემოსავლიდან.

## **მუხლი 11. პროცენტი**

1. ხელშემკვრელ სახელმწიფოში წარმოქმნილი და მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი პროცენტი შეიძლება დაიბეგროს მხოლოდ ამ მეორე სახელმწიფოში.

2. ტერმინი „პროცენტი“ მოცემულ მუხლში გამოყენებისას ნიშნავს შემოსავალს ნებისმიერი სახის სავალე მოთხოვნიდან იპოთეკური უზრუნველყოფის მიუხედავად; კერძოდ, შემოსავალს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისა და ობლიგაციებისგან, მათთან დაკავშირებული პრემიების ჩათვლით, აგრეთვე მომგებიანი სესხებიდან მიღებულ მოგებას. ამ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, დაგვიანებით გადახდაზე დარიცხული ჯარიმები პროცენტად არ ჩაითვლება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები არ გამოიყენება, თუ პროცენტის ფაქტობრივი მფლობელია ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, რომელიც თავის სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, სადაც წარმოიშვა პროცენტი იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან ეწევა ამ მეორე სახელმწიფოში დამოუკიდებელ პირად მომსახურებას იქ არსებული ფიქსირებული ბაზის მეშვეობით და სავალე მოთხოვნა, რომლის საფუძველზე ხდება პროცენტის გადახდა, რეალურად უკავშირდება ამგვარ მუდმივ დაწესებულებას ან ფიქსირებულ ბაზას. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ამ შეთანხმების მე-7 ან მე-14 მუხლის დებულებები.

4. თუ პროცენტის გადამხდელსა და ფაქტობრივ მფლობელს ან თითოეულ მათგანსა და რომელიმე მესამე პირს შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობის გამო, სავალე

მოთხოვნაზე გადასახდელი პროცენტის თანხა, რომლის საფუძველზეც ხდება მისი გადახდა, აჭარბებს თანხას, რაც შეთანხმებული იქნებოდა გადამხდელსა და ფაქტობრივ მფლობელს შორის ასეთი ურთიერთობების არარსებობისას, მაშინ ამ მუხლის დებულებები გამოიყენება მხოლოდ უკანასკნელად ხსენებული თანხის მიმართ. ასეთ შემთხვევაში, თანხის ნამეტი ნაწილი კვლავაც ექვემდებარება დაბეგვრას თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ შეთანხმების სხვა დებულებების გათვალისწინებით.

## **მუხლი 12. როიალტი**

1. ხელშემკვრელ სახელმწიფოში წარმოქმნილი და მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი როიალტი შეიძლება დაიბეგროს მხოლოდ ამ მეორე სახელმწიფოში.

2. ამ მუხლში გამოყენებისას ტერმინი „როიალტი“ ნიშნავს ანაზღაურების ნებისმიერ სახეს, რომლის გადახდა ხდება ლიტერატურის, ხელოვნების ან სამეცნიერო ნაწარმოების, კინემატოგრაფიული ფილმების ჩათვლით, პატენტების, სასაქონლო ნიშნების, ნიმუშების ან მოდელების, სქემების, საიდუმლო ფორმულების ან ტექნოლოგიების გამოყენებისათვის, ან გამოყენების უფლების მინიჭებისათვის, ან სამრეწველო, კომერციული ან სამეცნიერო გამოცდილების შემცველი ინფორმაციის გადაცემისათვის. ტერმინი „როიალტი“ ასევე მოიცავს ნებისმიერი სახის ანაზღაურებებს სახელების, პორტრეტების ან სხვა ანალოგიური პირადი უფლებებით სარგებლობისათვის ან სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, ასევე, გადახდებს რადიო- ან ტელეკომპანიების მიერ მსახიობებისა და სპორტსმენების გამოსვლების ჩაწერისათვის.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები არ გამოიყენება, თუ როიალტის ფაქტობრივი მფლობელია ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, რომელიც მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, სადაც წარმოიშვა სალიცენზიო გადასახდელები, თავის სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან ამ მეორე სახელმწიფოში ეწევა დამოუკიდებელ პირად მომსახურებას იქ არსებული ფიქსირებული ბაზის მეშვეობით და უფლება ან ქონებრივი ფასეულობა, რომელთა საფუძველზე ხდება სალიცენზიო გადასახდელის გადახდა, რეალურად არის დაკავშირებული ამ მუდმივ დაწესებულებასთან ან ფიქსირებულ ბაზასთან. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ამ შეთანხმების მე-7 ან მე-14 მუხლის დებულებები.

4. თუ როიალტის გადამხდელსა და მის ფაქტობრივ მფლობელს ან თითოეულ მათგანსა და რომელიმე მესამე პირს შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა გამო, სალიცენზიო გადასახდელის თანხა, იმ მომსახურების საერთო მოცულობის მიმართ, რომლის საფუძველზეც ხდება მისი გადახდა, აჭარბებს თანხას, რაც შეთანხმებული იქნებოდა გადამხდელსა და ფაქტობრივ მფლობელს შორის ასეთი ურთიერთობების არარსებობისას, მაშინ ამ მუხლის დებულებები გამოიყენება მხოლოდ უკანასკნელად ხსენებული თანხის მიმართ. ასეთ შემთხვევაში თანხის ნამეტი ნაწილი შეიძლება დაიბეგროს თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ შეთანხმების სხვა დებულებების გათვალისწინებით.

## **მუხლი 13. შემოსავალი ქონების გასხვისებიდან**

1. შემოსავალი, რომელსაც ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი იღებს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში მდებარე უძრავი ქონების გასხვისებიდან, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

2. შემოსავალი აქციების და იმ კომპანიაში წილობრივი მონაწილეობის სხვა სახეობების გასხვისებიდან, რომლის აქტივები ძირითადად პირდაპირ ან არაპირდაპირ შედგება ხელშემკვრელ სახელმწიფოში არსებული უძრავი ქონებისგან, შეიძლება დაიბეგროს ამ სახელმწიფოში.

3. შემოსავალი მოძრავი ქონების გასხვისებიდან, რომელიც წარმოადგენს მუდმივი დაწესებულების აქტივს, რომელიც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს გააჩნია მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, ან რომელიც მიეკუთვნება ფიქსირებულ ბაზას, რომელსაც ფლობს



ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში დამოუკიდებელი პირადი მომსახურების გაწევის მიზნით, ასევე ქონების გასხვისებით მიღებული შემოსავალი, რომელიც მიიღება ასეთი მუდმივი დაწესებულების (ცალკე, ან საწარმოს დანარჩენ ნაწილთან ერთად) ან ასეთი ფიქსირებული ბაზის გასხვისებით, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

4. საერთაშორისო გადაზიდვებში ექსპლოატირებული საზღვაო გემებისა და საჰაერო ხომალდების ან მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული მოძრავი ქონების გასხვისებიდან მიღებული შემოსავლები იბეგრება მხოლოდ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, სადაც მდებარეობს საწარმოს ფაქტობრივი მართვის ადგილი.

5. ქონების გასხვისებიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც არ არის აღნიშნული ამ მუხლის 1-ლ-მე-4 პუნქტებში, შეიძლება დაიბეგროს მხოლოდ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს ქონების გამსხვისებელი პირი.

6. ფიზიკურ პირთან მიმართებაში, რომელიც წარმოადგენდა ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს არანაკლებ ხუთი წლის განმავლობაში და რომელიც შემდეგ გახდა მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, ამ მუხლის მე-5 პუნქტის დებულებები გავლენას ვერ მოახდენს პირველად ხსენებული სახელმწიფოს უფლებაზე თავისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტების შესაბამისად დაბეგროს ამ პირის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მომენტამდე მისი ქონების ნამატი, რომელიც წარმოადგენილია წილობრივი მონაწილეობის სახით კომპანიებში, რომლებიც წარმოადგენენ პირველად ხსენებული ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს. ასეთ შესთხვევაში, ქონების ნამატი, რომელიც დაიბეგრა პირველად ხსენებულ სახელმწიფოში, მხედველობაში არ მიიღება მეორე სახელმწიფოს მიერ ქონების შემდგომი მატების გაანგარიშების დროს.

#### **მუხლი 14. დამოუკიდებელი პირადი მომსახურება**

1. შემოსავალი, რომელსაც იღებს ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი პროფესიული მომსახურების ან დამოუკიდებელი ხასიათის მქონე სხვა საქმიანობის შედეგად, შეიძლება დაიბეგროს მხოლოდ ამ სახელმწიფოში, თუ ამ პირს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში თავისი საქმიანობის განხორციელების მიზნით არ გააჩნია ფიქსირებული ბაზა. თუ მას ამგვარი ფიქსირებული ბაზა გააჩნია, მაშინ შემოსავლი შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი მეკუთვნება, ამ ფიქსირებულ ბაზას.

2. ტერმინი „პროფესიული მომსახურება“ მოიცავს, კერძოდ: დამოუკიდებელ სამეცნიერო, ლიტერატურულ, აღმზრდელობით ან პედაგოგიურ საქმიანობას, კულტურის სფეროში დამოუკიდებლად განხორციელებულ საქმიანობას, აგრეთვე, ექიმების, სტომატოლოგების, ადვოკატების, ინჟინრების, არქიტექტორების, საბუღალტრო სფეროს ექსპერტების და აუდიტორების დამოუკიდებელ საქმიანობას.

#### **მუხლი 15. დაქირავებით მუშაობა**

1. ამ შეთანხმების მე-16-მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით, ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ხელფასი, გასამრჯელო ან სხვა მსგავსი ანაზღაურება შეიძლება დაიბეგროს მხოლოდ ამ სახელმწიფოში, თუ მუშაობა არ ხორციელდება მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში. თუ მუშაობა ხორციელდება მეორე სახელმწიფოში, მაშინ ასეთ შემთხვევაში მიღებული ანაზღაურება შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა მიუხედავად, ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში განხორციელებული დაქირავებით მუშაობიდან მიღებული ანაზღაურება იბეგრება მხოლოდ პირველად ხსენებულ სახელმწიფოში, თუ:

a) ანაზღაურების მიმღები მეორე სახელმწიფოში იმყოფება საერთო ჯამში არაუმეტეს 183 დღისა, ნებისმიერი თორმეტთვიანი პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ან მთავრდება შესაბამის საგადასახადო წელს, და

b) ანაზღაურება გაიცემა დამქირავებლის მიერ ან მისი სახელით, რომელიც არ წარმოადგენს მეორე სახელმწიფოს რეზიდენტს, და

c) ანაზღაურებაზე გასაცემ ხარჯებს არ ეწევა მუდმივი დაწესებულება ან ფიქსირებული ბაზა, რომელიც დამქირავებელს გააჩნია მეორე სახელმწიფოში.

3. ამ მუხლის წინა დებულებების მიუხედავად, ანაზღაურება დაქირავებით მუშაობისათვის, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო გადაზიდვებში ექსპლოატირებულ საზღვაო გემებზე ან საჰაერო ხომალდებზე, შეიძლება დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც მდებარეობს იმ საწარმოს ფაქტობრივი მართვის ადგილი, რომელიც ახდენს გემების ან საჰაერო ხომალდების ექსპლოატაციას.

### **მუხლი 16. სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოების წევრთა ანაზღაურება**

სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოების წევრთა ანაზღაურება და სხვა მსგავსი გადახდები, რომლებსაც იღებს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, როგორც მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანიის სამეთვალყურეო ან დირექტორთა საბჭოს წევრი, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

### **მუხლი 17. ხელოვნების მუშაკები და სპორტსმენები**

1. ამ შეთანხმების მე-7, მე-14 და მე-15 მუხლების დებულებათა მიუხედავად, შემოსავალი, რომელსაც იღებს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, როგორც ხელოვნების მუშაკი, კერძოდ, როგორც თეატრის, კინოს, რადიოსა და ტელევიზიის მსახიობი ან მუსიკოსი, ან როგორც სპორტსმენი, მის მიერ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში განხორციელებული პირადი საქმიანობიდან, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელოვნების მუშაკის ან სპორტსმენის მიერ პირადად შესრულებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლი ერთიხედა არა თვით ხელოვნების მუშაკს ან სპორტსმენს, არამედ სხვა პირს, მაშინ ეს შემოსავალი, ამ შეთანხმების მე-7, მე-14 და მე-15 მუხლების დებულებების მიუხედავად, შეიძლება დაიბეგროს იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც ხორციელდება ხელოვნების მუშაკის ან სპორტსმენის საქმიანობა.

3. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების დებულებები არ გამოიყენება ხელშემკვრელ სახელმწიფოში ხელოვნების მუშაკების ან სპორტსმენების მიერ განხორციელებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მიმართ, თუ მათი ამ სახელმწიფოში ყოფნის დაფინანსება მთლიანად ან ძირითადად ხდება მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო სახსრებიდან ან მისი ერთ-ერთი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფის ან ამ მეორე სახელმწიფოში აღიარებული საზოგადოებრივი (საქველმოქმედო) ორგანიზაციის მიერ. ასეთ შემთხვევაში, შემოსავალი შეიძლება დაიბეგროს მხოლოდ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს ხელოვნების მუშაკი ან სპორტსმენი.

### **მუხლი 18. პენსიები და ანალოგიური გადახდები**

1. ამ შეთანხმების მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით პენსიები და სხვა მსგავსი ანაზღაურებები, რომლებსაც ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი იღებს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოდან, შეიძლება დაიბეგროს მხოლოდ პივრელად ხსენებულ სახელმწიფოში.

2. გადახდები, რომლებსაც იღებს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი ფიზიკური პირი მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს სავალდებულო სოციალური დაზღვევის საფუძველზე, ამ

მუხლის პირველი პუნქტის დებულებებისგან განსხვავებით, იბეგრება მხოლოდ ამ მეორე სახელმწიფოში.

3. პერიოდული და ერთდროული ანაზღაურებები, რომლებსაც ერთი ხელშემკვერელი სახელმწიფო ან მისი ერთ-ერთი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფი უხდის მეორე ხელშემკვერელი სახელმწიფოს რეზიდენტს იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მან განიცადა პოლიტიკური დევნის, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ან სამხედრო მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის (საკომპენსაციო გადახდებისა და შემწეობების ჩათვლით), სავალდებულო სამხედრო ან ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურის, დანაშაულის, აცრების ან ანალოგიური მოვლენების შედეგად, შეიძლება დაიბეგროს მხოლოდ პირველად ხსენებულ სახელმწიფოში, ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებებისგან განსხვავებით.

### **მუხლი 19. სახელმწიფო სამსახური**

1.

a) ხელშემკვერელ სახელმწიფოს ან მისი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფის ან ამ სახელმწიფოს საჯარო-სამართლებრივი სტატუსის მქონე სხვა იურიდიული პირის მიერ ფიზიკური პირისათვის გადახდილი ხელფასი, გასამრჯელო, ან სხვა მსგავსი ანაზღაურება, გარდა პენსიისა, ამ სახელმწიფოს, მისი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფის ან საჯარო-სამართლებრივი სტატუსის მქონე სხვა იურიდიული პირის მიმართ გაწეული სამსახურისათვის, იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში;

b) ამასთან, ამგვარი ანაზღაურება იბეგრება მხოლოდ მეორე ხელშემკვერელ სახელმწიფოში, თუ აღნიშნული სამსახური ხორციელდება ამ მეორე სახელმწიფოში და ფიზიკური პირი წარმოადგენს ამ სახელმწიფოს რეზიდენტს, ასევე:

i) არის ამ სახელმწიფოს ნაციონალური პირი, ან

ii) არ გახდა ამ სახელმწიფოს რეზიდენტი მხოლოდ სამსახურის გაწევის მიზნით.

2.

a) ხელშემკვერელი სახელმწიფოს ან მისი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფის ან ამ სახელმწიფოს საჯარო-სამართლებრივი სტატუსის მქონე სხვა იურიდიული პირის ან მათ მიერ შექმნილი ფონდებიდან ფიზიკური პირისთვის გადახდილი პენსია, ამ სახელმწიფოსათვის, მისი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფისათვის ან საჯარო-სამართლებრივი სტატუსის მქონე სხვა იურიდიული პირისათვის გაწეული სამსახურისათვის, იბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში;

b) ამასთან, აღნიშნული პენსიები შეიძლება დაიბეგროს მხოლოდ მეორე ხელშემკვერელ სახელმწიფოში, თუ ფიზიკური პირი წარმოადგენს ამ მეორე სახელმწიფოს რეზიდენტსა და ნაციონალურ პირს.

3. ხელშემკვერელი სახელმწიფოს ან მისი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფის ან საჯარო-სამართლებრივი სტატუსის მქონე სხვა იურიდიული პირის მიმართ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სამსახურისათვის მიღებული გასამრჯელოსა და პენსიების მიმართ გამოიყენება ამ შეთანხმების მე-15, მე-16, მე-17 ან მე-18 მუხლების დებულებები.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები გამოიყენება შესაბამისად იმ ანაზღაურებების მიმართაც, რომლებიც გაიცემა ხელშემკვერელი სახელმწიფოს ან მისი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფის ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში იმ სახსრებიდან, რომლებიც გამოიყოფა უშუალოდ ამ სახელმწიფოს ან მისი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფის მიერ, მეორე ხელშემკვერელი სახელმწიფოს თანხმობით ამ მეორე სახელმწიფოში მივლინებული სპეციალისტების ან მოხალისეებისათვის.

5. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დებულებები გამოიყენება შესაბამისად გოეთეს სახელობის ინსტიტუტის ან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის აკადემიური გაცვლების გერმანული სამსახურის მიერ ან მათი სახელით გადახდილ ანაზღაურებებზე. კომპეტენტურ

ორგანოებს ურთიერთშეთანხმებით შეუძლიათ შესაბამისი მიდგომა გამოიყენონ ხელშემკვრელი სახელმწიფოების სხვა მსგავსი დაწესებულებების მიერ გადახდილ ანაზღაურებებზე. თუ აღნიშნული ანაზღაურებები არ იბეგრება დაწესებულების დამფუძნებელ სახელმწიფოში, მაშინ იმოქმედებს ამ შეთანხმების მე-15 მუხლის დებულებები.

### **მუხლი 20. მასწავლებლები, მეცნიერი მუშაკები და სტუდენტები**

1. ფიზიკური პირი, რომელიც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ან მისი უნივერსიტეტის, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების, სკოლის, მუზეუმის ან ამ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კულტურის სფეროს სხვა რომელიმე დაწესებულების მიწვევით ან ოფიციალური კულტურული გაცვლის პროგრამის ფარგლებში იმყოფება ამ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, საერთო ჯამში არა უმეტეს ორი წლის ვადით, მხოლოდ ხსენებულ დაწესებულებებში პედაგოგიური საქმიანობის, ლექციების წაკითხვის ან კვლევითი სამუშაოების ჩატარების მიზნით და არის ან პირველად ხსენებულ სახელმწიფოში შესვლამდე იყო მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი, ამ პირველ სახელმწიფოში აღნიშნული საქმიანობისათვის მიღებულ ანაზღაურებასთან დაკავშირებით არ დაიბეგრება იმ პირობით, თუ აღნიშნული ანაზღაურება მიღებულია ამ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ არსებული წყაროებიდან.

2. ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში განათლების მიღების ან სწავლისათვის მომზადების მიზნით მყოფი სტუდენტის, პრაქტიკანტის ან მოსწავლის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც განკუთვნილია მის საცხოვრებლად, განათლების მისაღებად ან სწავლისათვის მოსამზადებლად, როდესაც ეს პირები არიან ან პირველად ხსენებულ სახელმწიფოში შესვლამდე იყვნენ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტები, არ ექვემდებარება დაბეგრას პირველად ხსენებულ სახელმწიფოში, თუ ანაზღაურების წყარო მდებარეობს ამ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ.

### **მუხლი 21. სხვა შემოსავლები**

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ მიღებული შემოსავლები, რომლებიც არ არის განხილული ამ შეთანხმების წინა მუხლებში, მათი წარმოშობის წყაროს მიუხედავად, შეიძლება დაიბეგროს მხოლოდ ამ სახელმწიფოში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები არ გამოიყენება შემოსავლების მიმართ, რომლებიც განსხვავდება უძრავი ქონებიდან მიღებული შემოსავლებისგან, თუ ასეთი შემოსავლების მიმღები წარმოადგენს ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს და სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში იქ განთავსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან ამ მეორე სახელმწიფოში ახორციელებს დამოუკიდებელ პირად მომსახურებას იქ არსებული ფიქსირებული ბაზის საშუალებით, და უფლება ან ქონებრივი ფასეულობა, რომლებთან დაკავშირებითაც ხდება შემოსავლის გადახდა, რეალურად არის დაკავშირებული ასეთ მუდმივ დაწესებულებასთან ან ფიქსირებულ ბაზასთან. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ამ შეთანხმების მე-7 ან მე-14 მუხლის დებულებები.

### **მუხლი 22. კაპიტალი**

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის უძრავი ქონებით წარმოდგენილი კაპიტალი, რომელიც მდებარეობს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

2. მოძრავი ქონებით წარმოდგენილი კაპიტალი, რომელიც წარმოადგენს იმ მუდმივი დაწესებულების აქტივებს, რომელიც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს გააჩნია მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში ან განეკუთვნება ფიქსირებულ ბაზას, რომელიც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს გააჩნია მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში დამოუკიდებელი პირადი მომსახურების გაწევის მიზნით, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში.

3. კაპიტალი, რომელიც წარმოდგენილია საერთაშორისო გადაზიდვებში ექსპლოატირებული საზღვაო გემებითა და საჰაერო ხომალდებით, ასევე მათი ექსპლოატაციისათვის საჭირო მოძრავი ქონებით, შეიძლება დაექვემდებაროს დაბეგვრას მხოლოდ იმ ხელშემეკვრელ სახელმწიფოში, სადაც მდებარეობს საწარმოს ფაქტობრივი მართვის ადგილი.

4. ხელშემეკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის კაპიტალის ყველა სხვა ელემენტი შეიძლება დაიბეგროს მხოლოდ ამ სახელმწიფოში.

### **მუხლი 23. ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება რეზიდენტის სახელმწიფოში**

1. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რეზიდენტთან მიმართებაში გადასახადები დადგინდება შემდეგნაირად:

a) გერმანიის გადასახადების საგადასახადო ბაზიდან გამოიქვითება საქართველოში მიღებული შემოსავლები, ასევე საქართველოში განთავსებული ქონებრივი ფასეულობები, რომლებიც ამ შეთანხმების შესაბამისად შეიძლება დაიბეგროს საქართველოში და არ ექცევა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედების ქვეშ.

დივიდენდებიდან მიღებული შემოსავლების მიმართ წინა დებულებები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ დივიდენდების გადახდა ხდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რეზიდენტი კომპანიისათვის (უბრალო ამხანაგობის გარდა) საქართველოს იმ რეზიდენტი კომპანიის მიერ, რომლის კაპიტალის არანაკლებ 10 პროცენტი უშუალოდ ეკუთვნის გერმანულ კომპანიას და თუ ის არ იქნა გამოქვითული დივიდენდების გადამხდელი კომპანიის მოგების გაანგარიშების დროს.

ქონების დაბეგვრის დროს, გერმანიის საგადასახადო ბაზიდან ასევე გამოიქვითება ის წილობრივი მონაწილეობა, რომლებთან დაკავშირებითაც, თუ მოხდებოდა დივიდენდების გადახდა, დაექვემდებარებოდა საგადასახადო ბაზიდან ამოღებას ამ პუნქტის წინა ნაწილების დებულებათა შესაბამისად.

b) გერმანიის საგადასახადო კანონმდებლობის დებულებათა გათვალისწინებით, რომლებიც ეხება გერმანიის გადასახადებით დაბეგვრის დროს უცხოური გადასახადების ჩათვლას, ამოღებულს შემოსავლებიდან, ქვემოთ ჩამოთვლილ შემოსავლებთან მიმართებაში ხორციელდება საქართველოს გადასახადების ჩათვლა, რომლებიც გადახდილია ამ შემოსავლებზე საქართველოს კანონმდებლობის თანახმად და ამ შეთანხმების შესაბამისად. ეს შემოსავლებია:

i. დივიდენდები, რომლებიც არ ექცევა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოქმედების ქვეშ;

ii. შემოსავლები, რომლებიც ამ შეთანხმების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შეიძლება დაიბეგროს საქართველოში;

iii. სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოების წევრთა ანაზღაურება;

iv. ამ შეთანხმების მე-17 მუხლით გათვალისწინებული შემოსავლები.

c) ამ შეთანხმების მე-7 და მე-10 მუხლებით განსაზღვრული შემოსავლებისა და მათ საფუძვლად არსებული ქონებრივი ფასეულობების მიმართ, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დებულებების ნაცვლად გამოიყენება ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დებულებები, თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რეზიდენტი არ წარადგენს დასაბუთებას იმის თაობაზე, რომ სამეურნეო (საანგარიშო) წელს მუდმივი დაწესებულება, საიდანაც მან მიიღო მოგება, ან საქართველოს რეზიდენტი კომპანია სამეურნეო (საანგარიშო) წელს, რომელმაც გაანაწილა მოგება, თავიანთ ერთობლივ შემოსავალს იღებდნენ მხოლოდ ან თითქმის მხოლოდ იმ საქმიანობათა სახეებიდან, რომლებიც ექცევიან „საგარეო გადასახადების შესახებ“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონის მე-8 პარაგრაფის პირველი პუნქტის 1-6 ნომრების მოქმედების ფარგლებში; იგივე დებულება მოქმედებს მუდმივი დაწესებულებისათვის საჭირო უძრავი ქონებისა და მისგან მიღებული შემოსავლების მიმართ (ამ შეთანხმების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი), ასევე აღნიშნული უძრავი ქონების გასხვისებით მიღებული მოგების თანხების მიმართ (ამ შეთანხმების მე-13 მუხლის პირველი პუნქტი) და მოძრავი

ქონების მიმართ, რომელიც წარმოადგენს მუდმივი დაწესებულების აქტივს (ამ შეთანხმების მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი).

d) ამასთან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა უფლებას იტოვებს სხვა შემოსავლებზე ან ქონებრივ ფასეულობებზე საგადასახადო განაკვეთის დადგენის დროს გაითვალისწინოს შემოსავლები ან ქონებრივი ფასეულობანი, რომლებიც გერმანიის გადასახადებით არ იბეგრება.

e) ამ პუნქტის a) ქვეპუნქტის დებულებების მიუხედავად, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება ხდება საგადასახადო ჩათვლის საშუალებით, ამ პუნქტის b) ქვეპუნქტის შესაბამისად,

i. თუ ხელშემკვრელ სახელმწიფოებში შემოსავლები ან ქონება განეკუთვნება ამ შეთანხმების სხვადასხვა დებულებებს ან მიეწერება სხვადასხვა პირებს (ამ შეთანხმების მე-9 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა) და ამ კონფლიქტის დარეგულირება შეუძლებელია ამ შეთანხმების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებათა შესაბამისად და როდესაც ასეთი განსხვავებული მიკუთვნების ან მიწერის გამო შესაბამისი შემოსავლები ან ქონებრივი ფასეულობები არ იქნებოდნენ დაბეგრილი ან დაიბეგებოდნენ შემცირებული განაკვეთით, იმასთან შედარებით, თუ ასეთ კონფლიქტს ადგილი არ ექნებოდა, ან

ii. თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა შესაბამისი კონსულტაციების შემდეგ დიპლომატიური არხებით საქართველოს აცნობებს სხვა შემოსავლების შესახებ; რომელთა მიმართ იგი აპირებს ჩათვლის მეთოდის გამოყენებას b) ქვეპუნქტის თანახმად. აღნიშნული შემოსავლების მიმართ b) ქვეპუნქტის შესაბამისად ჩათვლის მეთოდის საშუალებით ორმაგი დაბეგვრა თავიდან აცილებული იქნება შეტყობინების გადაცემის კალენდარული წლის შემდეგი კალენდარული წლის პირველი დღიდან.

2. საქართველოს რეზიდენტთან მიმართებაში გადასახადები დადგინდება შემდეგნაირად:

a) როდესაც საქართველოს რეზიდენტი შემოსავალს იღებს ან ფლობს კაპიტალს, რომელიც ამ შეთანხმების დებულებების თანახმად შეიძლება დაიბეგროს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საქართველო დაუშვებს:

i. ამ რეზიდენტის შემოსავალზე დაბეგრილი თანხის გამოქვითვას, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ტოლი იქნება;

ii. ამ რეზიდენტის კაპიტალზე დაბეგრილი თანხის გამოქვითვას, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კაპიტალზე გადახდილი გადასახადის ტოლი იქნება.

ასეთი გამოქვითვა, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს შემოსავალსა და კაპიტალზე გადასახადის იმ ნაწილს, რომელიც გამოქვითვამდე იყო დაანგარიშებული და მიეწერება, ვითარების შესაბამისად, შემოსავალსა და კაპიტალს, რომელიც შეიძლება დაიბეგროს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

b) თუ ამ შეთანხმების ნებისმიერი დებულების შესაბამისად, საქართველოს რეზიდენტის მიერ მიღებული შემოსავლი ან მის მფლობელობაში არსებული კაპიტალი, გადასახადისგან გათავისუფლებულია საქართველოში, ამის მიუხედავად, საქართველოს შეუძლია ამ რეზიდენტის დარჩენილ შემოსავალსა და კაპიტალზე გადასახადის მოცულობის გაანგარიშების დროს მხედველობაში მიიღოს დაბეგვრისგან გათავისუფლებული შემოსავალი ან კაპიტალი.

#### **მუხლი 24. დისკრიმინაციის თავიდან აცილება**

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოს ნაციონალური პირები არ დაექვემდებარებიან მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში განსხვავებულ ან უფრო მძიმე პირობებით დაბეგვრას ან მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, ვიდრე ექვემდებარებიან ან შეიძლება დაექვემდებარონ ამ მეორე სახელმწიფოს ნაციონალური პირები იმავე გარემოებებში, კერძოდ, რეზიდენციის თვალსაზრისით. ამ შეთანხმების პირველი მუხლის დებულებების მიუხედავად, მოცემული დებულება გამოიყენება აგრეთვე პირების მიმართ, რომლებიც არ წარმოადგენენ არცერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტებს.

2. მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც წარმოადგენენ ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტებს, არცერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში არ უნდა დაექვემდებარონ განსხვავებულ ან უფრო მძიმე პირობებით დაბეგვრას ან მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, ვიდრე ექვემდებარებიან ან შეიძლება დაექვემდებარონ ამ სახელმწიფოთა ნაციონალური პირები იმავე გარემოებებში.

3. ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოს კუთვნილი მუდმივი დაწესებულების დაბეგვრა მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში არ უნდა იყოს უფრო ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე ამ მეორე სახელმწიფოს საწარმოთა დაბეგვრა, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ საქმიანობას. ეს დებულება არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ხელშემკვრელ სახელმწიფოს ავალდებულებდეს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტებს მისცეს რაიმე დაუბეგრავი თანხები, მიანიჭოს საგადასახადო შეღავათები ან შეუმციროს ტარიფები, ისე როგორც იგი ამას ახორციელებს საუთარი რეზიდენტების მიმართ.

4. იმ შემთხვევებში, როდესაც არ გამოიყენება ამ შეთანხმების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის ან მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის დებულებები, პროცენტი, როიალტი და სხვა გადახდები, რომლებსაც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო უხდის მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს, ექვემდებარება გამოქვითვას ამ საწარმოს დასაბეგრი მოგების გამოანგარიშებისას იგივე პირობებით, როგორც ეს მოხდებოდა პირველად ხსენებული სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდის შემთხვევაში. შესაბამისად, დავალიანება, რომელიც ამ საწარმოს გააჩნია მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის მიმართ, ამ საწარმოს დასაბეგრი ქონების განსაზღვრის დროს ექვემდებარება გამოქვითვას იგივე პირობით, როგორც პირველად ხსენებული სახელმწიფოს რეზიდენტის მიმართ არსებული დავალიანება.

5. ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოები, რომელთა კაპიტალი მთლიანად ან ნაწილობრივ, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტს ან რამდენიმე ასეთ პირს, ან კონტროლდება მათ მიერ, პირველად ხსენებულ სახელმწიფოში არ უნდა დაექვემდებარონ განსხვავებულ ან უფრო მძიმე პირობებით დაბეგვრას ან მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ვალდებულებას, რომლებსაც ექვემდებარებიან ან შეიძლება დაექვემდებარონ ამ პირველად ხსენებული სახელმწიფოს ანალოგიური საწარმოები.

6. ამ შეთანხმების მე-2 მუხლის მიუხედავად, ამ მუხლის დებულებები გამოიყენება ნებისმიერი სახის და დასახელების გადასახადების მიმართ.

## **მუხლი 25. ურთიერთშეთანხმების პროცედურა**

1. თუ პირი თვლის, რომ ერთი ან ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ქმედება იწვევს ან გამოიწვევს მის დაბეგვრას ამ შეთანხმების დებულებების საწინააღმდეგოდ, მას შეუძლია, მისი უფლებების დაცვის ამ სახელმწიფოთა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობებით გათვალისწინებული ზომებისაგან დამოუკიდებლად, თავისი საქმე განსახილველად წარადგინოს იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოში, რომლის რეზიდენტსაც იგი წარმოადგენს. ან, თუ მისი შემთხვევა ექვემდებარება ამ შეთანხმების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის მოქმედებას, იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოში, რომლის ნაციონალურ პირსაც იგი წარმოადგენს. განცხადება წარდგენილი უნდა იქნეს ამ შეთანხმების დებულებათა შეუსაბამოდ დაბეგვრის გამოწვევი მოქმედების შესახებ პირველი შეტყობინებიდან სამი წლის განმავლობაში.

2. თუ აღნიშნული კომპეტენტური ორგანო განცხადებას დასაბუთებულად ჩათვლის და თუ მას დამოუკიდებლად არ შეუძლია საკითხის დამაკმაყოფილებლად გადაწყვეტა, იგი შეეცდება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებით გადაწყვიტოს საკითხი ამ შეთანხმების დებულებებთან შეუსაბამოდ დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით. მიღწეული შეთანხმება ექვემდებარება აღსრულებას ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობებით გათვალისწინებული დროითი შეზღუდვების მიუხედავად.

3. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეეცდებიან გადაჭრან ნებისმიერი სირთულე ან ეჭვი, რომლებიც წარმოიშობა ამ შეთანხმების განმარტების ან გამოყენების დროს. მათ შეუძლიათ აგრეთვე ერთმანეთთან აწარმოონ კონსულტაციები, თუ როგორ შეიძლება იქნეს თავიდან აცილებული ორმაგი დაბეგვრა ამ შეთანხმებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებშიც.

4. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტურ ორგანოებს, ამ მუხლის ზემოაღნიშნულ დებულებებზე თანხმობის მიღწევის მიზნით, შეუძლიათ ერთმანეთთან შევიდნენ უშუალო კონტაქტში.

### **მუხლი 26. ინფორმაციის გაცვლა**

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები ცვლიან იმ ინფორმაციას, რომელიც გათვალისწინებულია ამ შეთანხმების განხორციელებისათვის, ან ხელშემკვრელი სახელმწიფოების შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით იმ გადასახადებთან მიმართებაში, რომელთა დაკისრება ხორციელდება ხელშემკვრელ სახელმწიფოს ან მისი ერთ-ერთი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ქვედანაყოფის სახელით, მათი ამოღების საშუალებისა და მეთოდის მიუხედავად, თუ ამ კანონმდებლობით გათვალისწინებული დაბეგვრა არ ეწინააღმდეგება ამ შეთანხმებას, ინფორმაციის გაცვლა არ იზღუდება ამ შეთანხმების პირველი და მე-2 მუხლებით. ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად ისევე, როგორც ამ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია და მათი გაცნობა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს ან ორგანოებს (სასამართლეობისა და ადმინისტრაციული ორგანოების ჩათვლით), რომელთა კომპეტენციას წარმოადგენს გადასახადების დარიცხვა ან გადახდევინება, იძულებითი წესით ამოღება ან სასამართლო დევნა, ან იმ გადასახადებთან დაკავშირებული აპელაციებისა და საჩივრების განხილვა, რომლებიც აღნიშნულია ამ პუნქტის პირველ წინადადებაში. ამ პირებს ან ორგანოებს ინფორმაციის გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ დასახელებული მიზნებისათვის. მათ ინფორმაციის გამოყენება შეუძლია სასამართლოს ღია სხდომებზე ან სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღების დროს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ხელშემკვრელ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება:

a) ინფორმაციის მიწოდების მიზნით გაატაროს ადმინისტრაციული ზომები, რომლებიც ეწინააღმდეგება ერთი ან მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობას ან ადმინისტრაციულ პრაქტიკას;

b) მიაწოდოს ინფორმაცია, რომლის მიღება არ შეიძლება ერთი ან მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობით ან არსებული ადმინისტრაციული პრაქტიკით;

c) მიაწოდოს ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გაამჟღავნოს რომელიმე სავაჭრო, სამრეწველო, სამეწარმეო ან პროფესიული საიდუმლოება, ან საქმიანი პროცედურა, ან რომლის მიწოდებაც ეწინააღმდეგება სახელმწიფო პოლიტიკას (საზოგადოებრივ წესრიგს).

### **მუხლი 27. წყაროსთან დაბეგვრის დებულებები**

1. თუ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტის დივიდენდი, პროცენტი, როიალტი ან მსგავსი შემოსავლები იბეგრება დაკავების გზით, მაშინ პირველად ხსენებული სახელმწიფოს უფლება გადასახადი დაკავოს წყაროსთან მისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით განსაზღვრული განაკვეთით, ამ შეთანხმებით არ იზღუდება. გადასახადი, რომლის გადახდა ხდება დაკავების გზით, გადასახადის გადამხდელის განცხადების საფუძველზე ექვემდებარება დაბრუნებას მაშინ, როდესაც ამ შეთანხმების თანახმად იგი მცირდება ან უქმდება.



2. გადასახადის დაბრუნებაზე განაცხადის წარდგენა უნდა მოხდეს წყაროსთან დასაბეგრ დივიდენდებზე, პროცენტზე, როიალტიზე ან მსგავს შემოსავლებზე გადასახადის დაწესების კალენდარული წლიდან მომდევნო ოთხი წლის გასვლამდე.

3. პირველი პუნქტის დებულებების მიუხედავად, თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო შეიმუშავებს შესაბამის პროცედურებს იმისათვის, რომ შემოსავლების გადახდა, რომლებიც ამ შეთანხმების თანახმად არ იბეგრება წყაროს ქვეყანაში ან იბეგრება შემცირებული საგადასახადო განაკვეთით, განხორციელდეს დაკავების გარეშე ან დაკავება მოხდეს მხოლოდ შესაბამისი მუხლის გათვალისწინებით.

4. ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომელშიც წარმოიშვა შემოსავალი, შეუძლია მოითხოვოს კომპეტენტური ორგანოს დადასტურება, მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში რეზიდენტობის შესახებ.

5. კომპეტენტურ ორგანოებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შეუძლიათ დაარეგულირონ ამ მუხლის განხორციელება და აუცილებლობის შემთხვევაში დააწესონ სხვა პროცედურები გადასახადების განაკვეთების შემცირების ან მათგან გათავისუფლების რეალიზაციის მიზნით, რასაც ითვალისწინებს ეს შეთანხმება.

### **მუხლი 28. შეთანხმების გამოყენება განსაკუთრებულ შემთხვევებში**

1. ეს შეთანხმება არ შეიძლება გაგებულ იქნეს ისე, თითქოს იგი ეწინააღმდეგება ხელშემკვრელ სახელმწიფოს მიერ მისი შიდასახელმწიფოებრივი საკანონმდებლო აქტების გამოყენებას, რომლებიც მიმართულია გადასახადების არგადახდის აღსაკვეთად ან თავის არიდების წინააღმდეგ.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები იწვევენ ორმაგ დაბეგვრას, მაშინ ამ შეთანხმების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებების შესაბამისად კომპეტენტური ორგანოები გამართავენ კონსულტაციებს ამგვარი ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მეთოდების შესამუშავებლად.

### **მუხლი 29. დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულო დაწესებულებების თანამშრომლები**

ამ შეთანხმების დებულებები გავლენას ვერ მოახდენს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების თანამშრომელთა საგადასახადო პრივილეგიებზე, რომლებიც დადგენილია საერთაშორისო სამართლის საყოველთაო ნორმების ან სპეციალური შეთანხმებების საფუძველზე.

### **მუხლი 30. ოქმი**

თანდართული ოქმი წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

### **მუხლი 31. ძალაში შესვლა**

1. ეს შეთანხმება ექვემდებარება რატიფიცირებას, სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდება ქ. ბერლინში, შესაძლებლად მოკლე დროში.

2. აღნიშნული შეთანხმება ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს და მისი დებულებები გამოყენებული იქნება ორივე ხელშემკვრელ სახელმწიფოში:

a) წყაროსთან დასაკავებელი გადასახადების მიმართ – თანხებზე, რომელთა გადახდა ხდება შეთანხმების ძალაში შესვლის წლის შემდგომ კალენდარული წლის 1 იანვარს ან 1 იანვრის შემდეგ;

b) სხვა გადასახადების მიმართ – გადასახადის თანხებზე, რომელთა ამოღება ხდება შეთანხმების ძალაში შესვლის წლის შემდგომ კალენდარული წლის 1 იანვრიდან.

### **მუხლი 32. მოქმედების შეწყვეტა**

ეს შეთანხმება იდება განუსაზღვრელი ვადით. ამასთან, თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან 5 წლის გასვლის შემდეგ შეუძლია მოახდინოს მისი

დენონსირება დიპლომატიური არხების საშუალებით მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოსათვის წერილობითი შეტყობინების გზით ნებისმიერი კალენდარული წლის 30 ივნისამდე. ასეთ შემთხვევაში, ეს შეთანხმება არ ექვემდებარება შემდგომ გამოყენებას:

a) წყაროსთან დასაკავებელი გადასახადების მიმართ – თანხებზე, რომელთა გადახდა ხდება შეთანხმების დენონსაციის შესახებ განცხადების გაკეთების წლის შემდგომი კალენდარული წლის 1 იანვარს ან 1 იანვრის შემდეგ;

b) სხვა გადასახადების მიმართ – გადასახადის თანხებზე, რომელთა ამოღება ხდება შეთანხმების დენონსაციის შესახებ განცხადების გაკეთების წლის შემდგომი კალენდარული წლის 1 იანვრიდან დაწყებულ პერიოდში;

დენონსაციის დროს განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ შეტყობინების მიღების დღეს.

შედგენილია 2006 წლის 1 ივნისს, ქ. თბილისში, ორ პირად, თითოეული ქართულ, გერმანულ და რუსულ ენებზე. ამასთან, ყველა ტექსტი თანაბრად ავთენტურია. ქართულ და გერმანულ ტექსტებს შორის განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ტექსტს რუსულ ენაზე.

**საქართველოს სახელით**  
**(ხელმოწერილია)**

**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელით**  
**(ხელმოწერილია)**

**საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე  
ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ 2006 წლის 1 ივნისის  
შეთანხმების ოქმი**

საქართველომ და გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ 2006 წლის 1 ივნისის შეთანხმების დამატებით შეათანხმეს შემდეგი დებულებები:

1. ამ შეთანხმებაში გამოყენებული ტერმინები: „ხელშემკვრელი სახელმწიფო“ და „მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფო“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის მოიცავს ფედერალურ მიწებს.

2. მე-7 მუხლის მიმართ:

a) თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმო ყიდის ნაკეთობას ან საქონელს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან ამ სახელმწიფოში ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, მაშინ ამ მუდმივი დაწესებულების მოგება გამოითვლება არა საწარმოს მიერ მიღებული თანხის საერთო მოცულობიდან, არამედ მხოლოდ იმ თანხის საფუძველზე, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს ფაქტობრივ გაყიდვას ან მუდმივი დაწესებულების კომერციულ საქმიანობას;

b) თუ საწარმოს მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში გააჩნია მუდმივი დაწესებულება, მაშინ ამ მუდმივი დაწესებულების მოგება, რომელიც მიიღება კონტრაქტებიდან, კერძოდ, სამრეწველო, კომერციული ან სამეცნიერო მოყვობილობის ან ობიექტის დაპროექტების, მიწოდების, მონტაჟის ან მშენებლობის კონტრაქტების ან სახელმწიფო შეკვეთების საფუძველზე, გამოითვლება არა კონტრაქტის მთლიანი ღირებულების, არამედ მისი მხოლოდ იმ ნაწილის საფუძველზე, რომელიც ფაქტობრივად ხორციელდება ამ ხელშემკვრელ სახელმწიფოში არსებული მუდმივი დაწესებულების მიერ. მუდმივი დაწესებულებისათვის მიწოდებული საქონლის საფუძველზე მიღებული მოგება ან კონტრაქტის იმ ნაწილის საფუძველზე მიღებული მოგება, რომელიც სრულდება იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, სადაც მდებარეობს საწარმოს სათავო ქვედანაყოფი, შეიძლება დაიბეგროს მხოლოდ ამ სახელმწიფოში;

c) ანაზღაურება ტექნიკური მომსახურებისათვის ანალიტიკური მასალის ან სამეცნიერო, გეოლოგიური ან ტექნიკური ხასიათის პროექტების ჩათვლით, კონსტრუქციების კონტრაქტებისათვის და მათთან დაკავშირებული ნახაზებისათვის, ან საკონსულტაციო ან საზედამხებდველო (მონიტორინგის) საქმიანობისათვის, ითვლება შემოსავლის სახეობად, რომელთა მიმართ გამოიყენება შეთანხმების მე-7 ან მე-14 მუხლის დებულებები.

3. მე-10 და მე-11 მუხლების მიმართ:

შეთანხმების მე-10 და მე-11 მუხლების დებულებების მიუხედავად, დივიდენდი და პროცენტი შეიძლება დაიბეგროს ხელშემკვრელ სახელმწიფოში, რომელშიც ისინი წარმოიშვენ, ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ისინი:

a) ეყრდნობიან უფლებებს ან სავალე მოთხოვნებს, რომლებიც ითვალისწინებენ მოგებაში მონაწილეობას, ცრუმაგიერი მონაწილის შემოსავლის ჩათვლით, რომელსაც იგი იღებს თავისი წილობრივი მონაწილეობიდან ცრუმაგიერი მონაწილის სტატუსით, შემოსავლებს კრედიტებიდან (სესხებიდან), რომელთაც გააჩნიათ მოგებაში მონაწილეობის უფლებამოსილება, ასევე მოგებაში მონაწილეობის უფლების მქონე ობლიგაციებიდან გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის საგადასახადო კანონმდებლობის გაგებით და

b) ექვემდებარებიან გადამხდელის მოგების გაანგარიშების დროს დივიდენდის ან პროცენტის თანხების გამოქვითვას.

4. მე-18 მუხლის მიმართ:

ამ მუხლში გამოყენებული ტერმინი „ანალოგიური გადახდები“ მოიცავს გარკვეულ თანხებს, რომელთა გადახდა ხდება რეგულარულად, დადგენილ ვადებში, სიცოცხლის მანძილზე ან

გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ვალდებულების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ადეკვატური მომსახურებისათვის ანაზღაურებას, რომელიც წარმოდგენილია ფულის ან მატერიალური ფასეულობების სახით.

5. 26-ე მუხლის მიმართ:

თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, ამ შეთანხმების საფუძველზე ხდება ფიზიკურ პირთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა, მაშინ თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფოს სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით დამატებით მოქმედებს შემდეგი დებულებები:

a) ამ ინფორმაციის გამოყენება მიმღები დაწესებულების მიერ დაიშვება მხოლოდ მითითებული მიზნით და მხოლოდ მათი გადამცემი დაწესებულების პირობების დაცვით;

b) მიმღები დაწესებულება აცნობებს გადამცემ დაწესებულებას, მისი თხოვნის საფუძველზე, გადაცემული ინფორმაციის გამოყენებისა და მათი დახმარებით მიღებული შედეგების შესახებ;

c) ინფორმაცია, რომელიც შეეხება ფიზიკურ პირს, შეიძლება გადაცემული იქნეს მხოლოდ კომპეტენტური დაწესებულებებისათვის. მათი შემდგომი გადაცემა სხვა დაწესებულებებისათვის შეიძლება მოხდეს მხოლოდ გადამცემი დაწესებულებების წინასწარი თანხმობის შემთხვევაში;

d) გადამცემი დაწესებულება ვალდებულია ყურადღება მიაქციოს გადასაცემი ინფორმაციის სარწმუნოებას, ასევე მათი გადაცემის აუცილებლობას და იმ მიზნების მიმართ ადეკვატურობას, რომლებიც მიიღწევა ინფორმაციის გადაცემის შედეგად. ამავე დროს, გათვალისწინებული უნდა იქნეს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედი აკრძალვები ინფორმაციის გადაცემაზე. თუ აღმოჩნდება, რომ გადაცემული იქნა არასარწმუნო ინფორმაცია, ან ინფორმაცია, რომელიც არ ექვემდებარებოდა გადაცემას, მაშინ ამის შესახებ აუცილებელია დაუყოვნებლივ ეცნობოს მიმღებ დაწესებულებას;

e) დაინტერესებულ პირს, მისი განცხადების საფუძველზე, მიეცემა ცნობა მის შესახებ მონაცემების გადაცემის თაობაზე, ასევე ამ მონაცემების გამოყენების სავარაუდო მიზნების შესახებ. ცნობის გაცემა არ არის აუცილებელი, თუ ანალიზი გვიჩვენებს, ცნობის არგასაცემად სახელმწიფოებრივი დაინტერესება აღემატება მის მისაღებად ხსენებული პირის დაინტერესებას. დანარჩენ ნაწილში დაინტერესებული პირის უფლება მის შესახებ არსებული ინფორმაციის თაობაზე ცნობის მისაღებად, რეგულირდება იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზე ხდება ცნობის გაცემის მოთხოვნა.

f) თუ შეთანხმების შესაბამისად, ინფორმაციის გაცვლის ფარგლებში გაგზავნილი მონაცემების შედეგად, რომელიმე პირს უკანონოდ მიადგა ზიანი, აღნიშნულთან დაკავშირებით მის წინაშე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმღებ დაწესებულებას თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად. დაზარალებულ პირთან მიმართებაში მას არ შეუძლია თავი იმართლოს იმ მოტივით, რომ ზიანი მიყენებულ იქნა მონაცემების გადამცემი დაწესებულების მიერ;

g) თუ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, რომლის ფარგლებში მოქმედებს ინფორმაციის გადამცემი დაწესებულება, ითვალისწინებს ფიზიკური პირის შესახებ გადაცემული ინფორმაციის განადგურების განსაუთრებულ წესს, მაშინ გადამცემი დაწესებულება აღნიშნულის შესახებ მიუთითებს მიმღებ დაწესებულებას. ამ კანონმდებლობისგან დამოუკიდებლად; ფიზიკური პირის შესახებ გადაცემული ინფორმაცია ექვემდებარება განადგურებას, თუ იგი აღარ არის საჭირო იმ მიზნებისათვის, რისთვისაც ეს ინფორმაცია გადაიცა;

h) გადამცემი და მიმღები დაწესებულებები ვალდებულნი არიან დოკუმენტალურად დაარეგისტრირონ ფიზიკური პირის შესახებ ინფორმაციის გადაცემა და მიღება;

i) გადამცემი და მიმღები დაწესებულებები ვალდებულნი არიან ფიზიკური პირის შესახებ ინფორმაცია შეინახონ სათანადო წესით და არ დაუშვან მათში ცვლილებების შეტანა და გამჟღავნება იმ პირთა მხრიდან, რომელთაც არ გააჩნიათ ამის უფლება.

6. 28-ე მუხლის მიმართ:

ამ მუხლის ფარგლებში, გერმანიის მხარისათვის გადასახადების არგადახდის ან გადასახადებისაგან თავის არიდების ეროვნულ სამართლებრივ აქტებს მიეკუთვნება აგრეთვე საზღვარგარეთიდან მიღებული პასიური შემოსავლების ჩათვლა.

საქართველოს სახელით  
(ხელმოწერილია)

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელით  
(ხელმოწერილია)

## ოქმი

საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის

შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ

2006 წლის 1 ივნისის შეთანხმებაში

ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველო და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა,

სურთ რა შეცვალონ საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ 2006 წლის 1 ივნისის შეთანხმება (შემდგომში “შეთანხმება”) და მასთან დაკავშირებული ამავე თარიღის ოქმი (შემდგომში “2006 წლის 1 ივნისის ოქმი”) საგადასახადო ინფორმაციის გაცვლის გაფართოებისა და გადასახადების აკრეფაში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების სფეროში თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

### მუხლი 1

შეთანხმების 26-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### „მუხლი 26

#### ინფორმაციის გაცვლა

1. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები ცვლიან ისეთი სახის ინფორმაციას, რომელიც სავარაუდოდ საჭირო იქნება ამ შეთანხმების დებულებების შესრულების ან შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ადმინისტრირების ან აღსრულების მიზნით, ხელშემკვრელი სახელმწიფოების, მათი ერთ-ერთი მიწის ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიერ დაწესებულ ნებისმიერი სახისა და აღწერილობის გადასახადთან მიმართებაში, თუ ამ კანონმდებლობით გათვალისწინებული დაბეგვრა არ მოდის წინააღმდეგობაში ამ შეთანხმებასთან. ინფორმაციის გაცვლა არ არის შეზღუდული ამ შეთანხმების პირველი და მეორე მუხლებით.
2. ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია ითვლება საიდუმლოდ, ისევე, როგორც ამ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია და მათზე წვდომა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს ან უწყებებს (სასამართლოებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ჩათვლით), რომელთა კომპეტენციას წარმოადგენს ამ მუხლის

პირველ პუნქტში აღნიშნული გადასახადების დარიცხვა ან შეგროვება, იძულებითი წესით ამოღება ან სამართლებრივი დევნა, ამ გადასახადებთან დაკავშირებული სარჩელების განხილვა, ან ზემოაღნიშნულის ზედამხედველობა. ეს პირები ან უწყებები ამ ინფორმაციას გამოიყენებენ მხოლოდ ამგვარი მიზნებისათვის. მათ შეუძლიათ ამ ინფორმაციის გამოყენება სასამართლოს ღია სხდომაზე ან სასამართლოს გადაწყვეტილებების მიღების დროს.

3. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების დებულებები არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ხელშემკვრელ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება:
  - a) ინფორმაციის მიწოდების მიზნით გაატაროს ადმინისტრაციული ღონისძიებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ერთი ან მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობას ან ადმინისტრაციულ პრაქტიკას;
  - b) მიაწოდოს ინფორმაცია, რომლის მოპოვება არ არის ნებადართული ერთი ან მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობით ან ჩვეულებრივი ადმინისტრაციული პრაქტიკით;
  - c) მიაწოდოს ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გაამჟღავნოს ნებისმიერი სავაჭრო, სამეწარმეო, სამრეწველო ან პროფესიული საიდუმლოება ან საქმიანი პროცესი ან ისეთი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც ეწინააღმდეგება სახელმწიფო პოლიტიკის უსაფრთხოებას (საზოგადოებრივ წესრიგს).
4. თუ ამ მუხლის დებულებათა შესაბამისად ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო მოითხოვს ინფორმაციას, მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფო იღებს მის ხელთ არსებულ ზომებს მოთხოვნილი ინფორმაციის მოძიებისათვის, მიუხედავად იმისა, სჭირდება თუ არა მეორე სახელმწიფოს ეს ინფორმაცია თავისი საგადასახადო მიზნებისათვის. წინა წინადადებაში ჩამოყალიბებულ ვალდებულებაზე ვრცელდება მე-3 პუნქტის შეზღუდვები, მაგრამ ეს შეზღუდვები არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, თითქოს ხელშემკვრელი სახელმწიფო უფლებამოსილია უარი განაცხადოს ინფორმაციაზე მიწოდებაზე მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მას ეს ინფორმაცია არ ესაჭიროება შიდასახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის.
5. მე-3 პუნქტის დებულებები არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ხელშემკვრელი სახელმწიფო უფლებამოსილია, უარი განაცხადოს ინფორმაციაზე მიწოდებაზე მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ინფორმაცია ბანკის, სხვა ფინანსური ინსტიტუტის, ნომინალური მფლობელის, აგენტის ან მინდობილი მესაკუთრის განკარგულებაშია ან დაკავშირებულია პირის საკუთრების უფლების ინტერესებთან.

## მუხლი 2

26-ე მუხლის შემდეგ შეთანხმებას დაემატოს შემდეგი ახალი მუხლი:

„მუხლი 26 (a)

ადმინისტრაციული დახმარება გადასახადების ამოღებაში

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოები საგადასახადო მოთხოვნის შესრულების მიზნით გაუწევენ ერთმანეთს ადმინისტრაციულ დახმარებას. ამგვარი ადმინისტრაციული დახმარება არ შემოიფარგლება ამ შეთანხმების პირველი და მე-2 მუხლებით. ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმების გზით დაარეგულირონ წინამდებარე მუხლის გამოყენება.
2. ამ მუხლში გამოყენებული ტერმინი “საგადასახადო მოთხოვნა“ ნიშნავს ხელშემკვრელი სახელმწიფოს, მისი ერთ-ერთი მიწის ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მიერ დაწესებულ ნებისმიერი სახისა და აღწერილობის გადასახადთან დაკავშირებულ საგადასახადო ვალდებულებას, თუ ასეთი დაბეგვრა არ მოდის წინააღმდეგობაში ამ შეთანხმების დებულებებთან ან სხვა საერთაშორისო შეთანხმებებთან, რომლის მონაწილეებიც არიან ხელშემკვრელი სახელმწიფოები, ისევე, როგორც აღნიშნულ თანხასთან დაკავშირებულ პროცენტს, ადმინისტრაციულ ჯარიმას და მისი ამოღების ან უზრუნველყოფის დროს გაწეულ ხარჯებს.
3. თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოს საგადასახადო მოთხოვნა ამ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება შესრულებას და ეკისრება პირს, რომელიც ამ მომენტისათვის ამ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად არ არის უფლებამოსილი, ხელი შეუშალოს მის შესრულებას, მაშინ ასეთი საგადასახადო მოთხოვნა ამ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნით მისი შესრულების მიზნით აღიარებული იქნება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ. ასეთი საგადასახადო მოთხოვნა ამ მეორე სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესრულებული იქნება მისი კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც გამოიყენება მისი საგადასახადო ვალდებულების შესრულებისა და ამოღების დროს, თითქოს იგი წარმოადგენს ამ სახელმწიფოს საგადასახადო მოთხოვნას.
4. თუ ხელშემკვრელი სახელმწიფო შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია, საგადასახადო მოთხოვნის მიმართ განახორციელოს ამოღების უზრუნველყოფის ღონისძიებები, მაშინ ასეთი საგადასახადო მოთხოვნა, ამ ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე, მიიღება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით. ეს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფო, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, გაატარებს ამოღების უზრუნველყოფის ღონისძიებებს ისე, თითქოს ის წარმოადგენს ამ მეორე სახელმწიფოს საგადასახადო მოთხოვნას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირველად ხსენებულ სახელმწიფოში ამგვარი ღონისძიებების გატარებისა და გადასახადების ამოღება შეუძლებელია, ან თუ ის ეკისრება პირს, რომელიც უფლებამოსილია, ხელი შეუშალოს მის შესრულებას.
5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მიუხედავად, ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მიზნებისათვის აღიარებულ საგადასახადო მოთხოვნაზე არ ვრცელდება ამ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადები ან ამ საგადასახადო მოთხოვნას ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით



მისი ხასიათიდან გამომდინარე არ მიენიჭება რაიმე პრიორიტეტი. გარდა ამისა, მე-3 და მე-4 პუნქტების მიზნებისათვის, ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ აღიარებულ საგადასახადო მოთხოვნას არ ენიჭება არავითარი პრიორიტეტი, რომელიც მას მიენიჭებოდა მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში იქ მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით.

6. სამართლებრივი პროცედურები ხელშემკვრელი სახელმწიფოს საგადასახადო მოთხოვნის არსებობასთან, ნამდვილობასთან და მის მოცულობასთან დაკავშირებით არ შეიძლება წარმოებულ იქნეს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციულ უწყებებში.
7. როდესაც ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით წარადგენს საგადასახადო მოთხოვნას და მანამდე, სანამ მეორე მხარე ამოიღებს და გადაურიცხავს პირველად ხსენებულ სახელმწიფოს საგადასახადო მოთხოვნის თანხას
  - a) ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად წარდგენილი მოთხოვნა აღარ წარმოადგენს პირველად ხსენებული სახელმწიფოს საგადასახადო მოთხოვნას, რომელიც ამ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება შესრულებას და ეკისრება პირს, რომელსაც შესრულების მომენტისათვის არ შეუძლია ხელი შეუშალოს მის შესრულებას, ან
  - b) ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად წარდგენილი მოთხოვნა აღარ წარმოადგენს პირველად ხსენებული სახელმწიფოს საგადასახადო მოთხოვნას, რომლის მიმართ ამ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად შეუძლია განახორციელოს ამოღების უზრუნველყოფის ღონისძიებები,

პირველად ხსენებული სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო დაუყოვნებლივ აცნობებს ამ ფაქტის შესახებ მეორე სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს და პირველად ხსენებული სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს გადაწყვეტილების საფუძველზე წყვეტს ან დროებით აჩერებს მოთხოვნის შესრულებას.

8. ამ მუხლის დებულებები არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულია
  - a) გაატაროს ადმინისტრაციული ღონისძიებები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის ერთ ან მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში მოქმედ კანონმდებლობასთან ან ადმინისტრაციულ პრაქტიკასთან;
  - b) გაატაროს ღონისძიებები, რომლებიც ეწინააღმდეგება სახელმწიფო პოლიტიკას (საზოგადოებრივ წესრიგს);
  - c) გაუწიოს ადმინისტრაციული დახმარება იმ შემთხვევაში, როდესაც მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოს არ აქვს ამოწურული მისი კანონმდებლობით ან ადმინისტრაციული პრაქტიკით გათვალისწინებული ამოღების ან შესრულების ყველა შესაძლო ღონისძიება;

- d) გაუწიოს ადმინისტრაციული დახმარება იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფოს ადმინისტრაციული ხარჯები აშკარად არათანაზომიერია მეორე სახელმწიფოს მიერ მიღებული სარგებლის მიმართ.

### მუხლი 3

2006 წლის 1 ივნისის ოქმის მე-5 პუნქტი, რომელიც ეხება შეთანხმების 26-ე მუხლს, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ, 26-ე მუხლის შესაბამისად ხორციელდება ფიზიკურ პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა, მაშინ დამატებით მოქმედებს შემდეგი დებულებები:

- a) მიმღები დაწესებულების მიერ 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ინფორმაციის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ინფორმაციის მიმწოდებელი დაწესებულების მიერ მითითებული მიზნებისა და მის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.
- b) 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებათა მიუხედავად შესაძლებელია ინფორმაციის გამოყენება სხვა მიზნებისთვისაც, თუკი მისი გამოყენება ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის შესაბამისად ნებადართულია ამ სხვა მიზნებისათვის და თუკი არსებობს ინფორმაციის გამცემი ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს თანხმობა მის ამგვარ გამოყენებაზე. ინფორმაციის გამცემი ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე ინფორმაციის სხვა მიზნებისათვის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ეს აუცილებელია გადაუდებელ შემთხვევებში პირის სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობის ან თავისუფლების ან მნიშვნელოვანი ქონებრივი ფასეულობების უშუალო საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ინფორმაციის მიმწოდებელი ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოებისადმი დაუყოვნებლივი მიმართვა მიზნის შეცვლის შემდგომი ნებართვის მიღების თხოვნით. ნებართვის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, დაუშვებელია ინფორმაციის შემდგომი გამოყენება სხვა მიზნებისათვის; ინფორმაციის სხვა მიზნებისათვის გამოყენების შედეგად დამდგარი ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას.
- c) ინფორმაციის წარმდგენი დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს გაცემული ინფორმაციის სისწორე და მისი სავარაუდო საჭიროება 26-ე მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, აგრეთვე ამ ინფორმაციის შესაბამისობა იმ მიზნებთან მიმართებაში, რომლებისთვისაც ხორციელდება ინფორმაციის გაცვლა. ინფორმაცია მიიჩნევა სავარაუდოდ საჭიროდ, თუ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ მეორე სახელმწიფოს გააჩნია დაბეგვრის უფლება და არ არსებობს საფუძველი იმისათვის, რომ ეს ინფორმაცია უკვე ცნობილია მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოსათვის ან რომ ამ ინფორმაციის გადაცემის გარეშე დაბეგვრის ობიექტი არ გახდება ცნობილი მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოსათვის. თუ ირკვევა, რომ მიწოდებული იქნა

არასწორი ან ისეთი მონაცემები, რომლებიც არ ექვემდებარებოდა გადაცემას, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მიმღებ დაწესებულებას. ის ვალდებულია შეასწოროს ან განადგუროს ეს მონაცემები. იმ შემთხვევაში, თუ მონაცემების გადაცემა განხორციელდა მოთხოვნის გარეშე, მიმღები დაწესებულება დაუყოვნებლივ ამოწმებს, თუ რამდენად შეესაბამება ის მიზნებს, რომლისათვის განხორციელდა მათი გადაცემა; მონაცემები, რომლებიც არ არის საჭირო, დაუყოვნებლივ განადგურდება მიმღები დაწესებულების მიერ;

- d) შესაბამისი ინფორმაციის იმ პირისათვის გადაცემის მიზნით, რომელსაც ეხება ინფორმაცია, კონკრეტულ შემთხვევაში მიმღები დაწესებულება მოთხოვნის საფუძველზე აცნობებს ინფორმაციის მიმწოდებელ დაწესებულებას, ამ ინფორმაციის გამოყენებისა და მისი მეშვეობით მიღებული შედეგების შესახებ;
- e) იმ პირს, რომელსაც ეხება ინფორმაცია, მიმღები უწყება აცნობებს მიმწოდებელი დაწესებულების მიერ ინფორმაციის მოგროვების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემები გაიცა მოთხოვნის გარეშე. ინფორმაციის მიწოდება არ არის აუცილებელი, თუ შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ სახელმწიფოს ინტერესი, უარი განაცხადოს ინფორმაციის მიწოდებაზე, გადაწონის ხსენებული პირის ინტერესს ინფორმაციის მიღებაზე;
- f) იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომელსაც ეხება ინფორმაცია, მასზე გაიცემა ინფორმაცია მასთან დაკავშირებული მონაცემების გადაცემისა და მათი გამოყენების სავარაუდო მიზნების შესახებ. “e” პუნქტის მეორე წინადადების დებულება ძალაშია ამ შემთხვევაშიც.
- g) თუ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ინფორმაციის გაცვლის ფარგლებში, მონაცემთა გაცვლისას პირს მართლსაწინააღმდეგოდ მიადგა ზარალი, პასუხისმგებლობა მის წინაშე ეკისრება მიმღებ დაწესებულებას მისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად. მას არ შეუძლია დაზარალებულის წინაშე თავი იმართლოს იმ ფაქტზე მითითებით, რომ ზარალი მიყენებულ იქნა ინფორმაციის გამცემი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ;
- h) ინფორმაციის მიმწოდებელი და მიმღები დაწესებულებები ვალდებული არიან, დოკუმენტურად ასახონ ფიზიკურ პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება და მიღება;
- i) თუ ინფორმაციის წარმდგენი სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ითვალისწინებს ფიზიკური პირის შესახებ მიწოდებული მონაცემების განადგურების განსაკუთრებულ წესს, ამ შემთხვევაში მიმწოდებელი დაწესებულება მიუთითებს ამის შესახებ მიმღებს. მიწოდებული ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ფიზიკურ პირებს, ყველა შემთხვევაში ექვემდებარება განადგურებას, თუ იგი აღარ არის საჭირო იმ მიზნებისათვის, რომლებისთვისაც მოხდა მისი გადაცემა.

j) ინფორმაციის მიმწოდებელი და მიმღები დაწესებულებები ვალდებული არიან, დაიცვან ფიზიკურ პირთან დაკავშირებული გადაცემული მონაცემები და არ დაუშვან მათზე წვდომა, მათი შეცვლა ან გამხელა იმ პირებისათვის, რომელთაც არ გააჩნიათ ამის უფლება.”

#### მუხლი 4

1. წინამდებარე ოქმი ექვემდებარება რატიფიცირებას; სარატიფიკაციო სიგელები გაიცვლება ..... შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში.
2. წინამდებარე ოქმი ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს და ორივე ხელშემკვრელ სახელმწიფოში მისი დებულებები იმოქმედებს ოქმის ძალაში შესვლის შემდგომი წლის პირველი იანვრიდან.

შესრულებულია ქ. ...., 201.... წლის ..... ორ-ორ დედნად, თითოეული ქართულ, გერმანულ და რუსულ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტი თანაბრად ავთენტურია. გერმანული და ქართული ტექსტების განსხვავებული ინტერპრეტირების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ტექსტს რუსულ ენაზე.

საქართველოს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის

სახელით

სახელით